

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულ პროგრამაზე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი სავალდებულო საგნებია ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ერთ-ერთი შემდეგი საგნებიდან (მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია).

პროგრამის მიზანია:

1. ტურიზმის დარგის ფართო ცოდნასთან ერთად კურსდამთავრებულს შესძინოს ტურიზმის პოლიტიკის, მართვის, პრაქტიკული კვლევისა და დაგეგმვისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური, საბუნებისმეტყველო და სხვა დარგების ინტერდისციპლინური სწავლების ჰარმონიული და ზომიერი კომბინაციით.
2. აღჭურვოს ტურიზმის სფეროს ორგანიზაციებსა თუ პროფილურ სტრუქტურულ ერთეულებში ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების მდგრადი დაგეგმვის, ორგანიზების, განხორციელებისა და კონტროლის პროცესების გეგმიურად მართვის უნარებით, საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით.
3. შეუქმნას კურსდამთავრებულებს ტურიზმის მიმართულებით სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

აღწერს სასტუმროს მომსახურების სფეროსთვის აუცილებელი სერვისების განხორციელების (დაჯავშნა, განთავსება, კვება, ღონისძიებების ადმინისტრირება, კვების უსაფრთხოება) მეთოდებსა და ტურისტული საქმიანობის განხორციელების პროცესებს.

განიხილავს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ძირითად ცნებებსა და თეორიებს; საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტულ ბაზარზე არსებულ ძირითად მიმართულებებს; ტურიზმის დარგის სამართლებრივ, ეკონომიკურ-ფინანსურ, სოციალურ-კულტურულ, გარემოს დაცვით და სხვა საკითხებს, რომლებიც განაპირობებენ ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების მდგრად დაგეგმვას, განხორციელებასა და მართვას.

ახდენს საქართველოს აგროტურისტული, ეკოტურისტული და რეკრეაციული რესურსებისა და პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას;

ახდენს ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების მდგრადი დაგეგმვის, ორგანიზების, ხელმძღვანელობის, კონტროლისა და სხვა პროცესების ცოდნის დემონსტრირებას ტურიზმის სფეროს საჯარო/კერძო ორგანიზაციებსა და სტრუქტურულ ერთეულებში;

აანალიზებს ტურისტულ საქმიანობაში არსებულ გამოწვევებსა და ამოცანებს, შეიმუშავებს პრობლემების გადაწყვეტის გზებს სოციალური და ეკონომიკური ასპექტების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით;

იყენებს და იზიარებს საერთაშორისო პრაქტიკასა და ტენდენციებს ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების შემუშავების, განხორციელებისა და რეალიზაციის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით;

წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად დამოუკიდებლად **შეიმუშავებს** ტურიზმის სფეროს მართვასთან დაკავშირებულ პრაქტიკული კვლევის ხასიათის პროექტს თანამედროვე მეთოდებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით

მსჯელობს ტურიზმის სფეროში არსებული გამოწვევების, პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ; ამზადებს ანგარიშებს და აცნობს მოპოვებულ ინფორმაციას პროფესიულ წრეებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას ქართულ და ინგლისურ ენაზე, თანამედროვე საინფორმაციო და

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

ზრუნავს როგორც საკუთარი, ისე სხვების პროფესიულ განვითარებაზე და მონაწილეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი

შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_procesis_mart_inst_2020_SD.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სავალდებულო სასწავლო კურსები	კრედიტი
1.	უცხოური ენა (ინგლისური) B 1.1	6
2.	გამოყენებითი ინფორმატიკა	4
3.	მათემატიკის საფუძვლები	5
4.	სამეწარმეო აზროვნება	5
5.	ტურიზმის საფუძვლები	5
6.	გამოყენებითი ფსიქოლოგია	5
7.	უცხოური ენა (ინგლისური) B1.2	6
8.	პრეზენტაციის და კომუნიკაციის ტექნიკა და ტექნოლოგიები	4
9.	ბიზნესის საფუძვლები	5
10.	თავისუფალი კომპონენტი	5
11.	მასპინძლობის ეთიკა და მოლაპარაკების ხელოვნება	5
12.	სასტუმროს სერვისები	5
13.	უცხოური ენა (ინგლისური) B 2.1	5
14.	მენეჯმენტის საფუძვლები	5
15.	მარკეტინგის საფუძვლები	5
16.	აკადემიური წერის საფუძვლები	5

17.	ტურიზმის და სასტუმროების ეკონომიკა	5
18.	თავისუფალი კომპონენტი	5
19.	უცხოური ენა (ინგლისური) B 2.2	5
20.	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	5
21.	სასტუმროს მენეჯმენტი	5
22.	ტურიზმის მარკეტინგი	5
23.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	5
24.	კვებისა და სასმელების მენეჯმენტი	5
25.	უცხოური ენა (ფრანგული,გერმანული,რუსული) A 1.1	5
26.	კვლევის მეთოდების საფუძვლები	5
27.	საერთაშორისო ტურიზმი	5
28.	სტატისტიკა ტურიზმისათვის	5
29.	ადამიანური რესურსების მართვა	5
30.	სამეწარმეო სამართლის საფუძვლები	5
31.	უცხოური ენა (ფრანგული,გერმანული,რუსული) A 1.2	5
32.	ტუროპერეიტინგი	5
33.	ოპერაციული მენეჯმენტი	5
34.	MICE ტურიზმის და ღონისძიებების მენეჯმენტი	5
35.	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5
36.	ტურიზმის უსაფრთხოება	5
37.	გლობალური დაჯავშნის სისტემები	5
38.	სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში	5
39.	ფინანსური მენეჯმენტი	5
40.	პრაქტიკა	10
41.	კულტურული ტურიზმი	5
42.	გარემო და ეკოტურიზმი	5
43.	სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი	5
44.	საბაკალავრო ნაშრომი	10
	არჩევითი სასწავლო კურსები	
45.	ღვინის ტურიზმი	5
46.	აგროტურიზმი	5
47.	უცხოური ენა (ფრანგული,გერმანული,რუსული) A 1.3	5
48.	სატრანსპორტო მომსახურება ტურიზმში	5
49.	ქვეყანათმცოდნეობა	5
50.	უცხოური ენა (ფრანგული,გერმანული,რუსული) A 1.4	5